განმარტებითი ბარათი

გაცნობებთ რომ თქვენ მიერ შუალედურად გადმოგზავნილ განცხადებაში არარი გათვალისწინებული
ჩვენს მიერ შეთნხმებული ტექნიკური ხარვეზის გასწორებული ვერსია, სადაც სამშენებლო გრაფიკში 14 ეტაპზეა საუბარი და
არა 10 ზე. გიგზავნით დანართის სახით ტექნიკური ხარვეზის გამოსწორების ბრძანებას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება № 7329554

გაცემის თარიღი: 23/12/2024
გაცნობის თარიღი: -
განცხადების ნომერი: AR11070390
შემოსვლის თარიღი: 16/12/2024
შედეგი: **თანხმობა**

მიწის ნაკვეთ(ებ)ი / ობიექტ(ებ)ი:

- საკადასტრო კოდი: 01.17.14.003.845
- მისამართი: ქალაქი თბილისი , ქუჩა ლერწამი , მიმდებარე ტერიტორია
- ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
- ფართობი: 1434.0 კვ.მ
- მესაკუთრე(ები): შპს "კონსტრუქშენ გრუპი 2030" (405523955)

ნომენკლატურა :

- **სამართლებრივი საკითხები**
- **ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში**

დამკვეთი - განმცხადებელი:

- კონსტანტინე დგებუაძე პ/ნ 01017002402
- მისამართი: ქ. თბილისი, ალ. გრიბოედოვის 17

ბრძანება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 21 ოქტომბრის №7256972 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 16 დეკემბერს №AR11070390 განცხადებით მომართა კონსტანტინე დგებუაძემ და მოითხოვა სამსახურის 2024 წლის 21 ოქტომბრის №7256972 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2024 წლის 21 ოქტომბრის №7256972 ბრძანებით №01.17.14.003.845 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა *მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი* და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2024 წლის 21 ოქტომბრიდან 2027 წლის 21 თებერვლის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2024 წლის 21 ოქტომბრის №7256972 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, ბრძანებაში მშენებლობის ეტაპები არ ფიქსირდება შეთანხმებული კალენდარული გრაფიკის შესაბამისად და ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.

დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ 2024 წლის 01 ოქტომბრის №AR11060025 განცხადებაზე წარმოდგენილი კალენდარული გრაფიკით გათვალისწინებული მშენებლობის ეტაპებით არ იყო გათვალისწინებული სამსახურის 2024 წლის 21 ოქტომბრის №7256972 ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მეოთხე პუნქტში მე-7 ეტაპად დაფიქსირებული სამუშაოები, თუმცა ტექნიკური შეცდომის შედეგად აღნიშნული ბრძანებაში არასწორად დაფიქსირდა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა სამსახურის 2024 წლის 21 ოქტომბრის №7256972 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 21 ოქტომბრის №7256972 ბრძანებაში და ბრძანების მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „4. მშენებლობის ეტაპები განისაზღვროს შემდეგნაირად:

5. ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა: შენობა-ნაგებობის +2.55 ნიშნულიდან +5.38 ნიშნულის რკინა ბეტონის ძირითადი კონსტრუქციების მონტაჟი;

6. ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა: შენობა-ნაგებობის +8.45 ნიშნულიდან +11.52 ნიშნულის რკინა ბეტონის ძირითადი კონსტრუქციების მონტაჟი;

7. ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა: შენობა-ნაგებობის +14.56 ნიშნულიდან +17.66 ნიშნულის რკინა ბეტონის ძირითადი კონსტრუქციების მონტაჟი;

8. ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა: შენობა-ნაგებობის +20.73 ნიშნულიდან +23.80 ნიშნულის რკინა ბეტონის ძირითადი კონსტრუქციების მონტაჟი;

9. ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა: შენობა-ნაგებობის +26.80 ნიშნულიდან